


# ჰარუკი მურაკამი

## ნორვეგიული ტყე

თარგმნა თამარ სუბელიანმა



ბაკურ სულაკაურის  
ბაიბლიოთეკა

## თავი პირველი

ოცდაჩვიდმეტი წლისა ვიყავი მაშინ, იმ უზარმაზარი ბონგ 747-ის სავარძელში მოკალათებული, რომელსაც საფრენ ბილიკზე დასაშვებად ჰამბურგის თავზე ხშირი ღრუბლების ფენა გაერღვია. ნოემბრის ცივ წვიმებს მიწა გაელუმბა. ყველა და ყველაფერი – სანვიმარ ლაბადებში გახვეული ეკიპაჟის წევრებიც, აეროპორტის შენობის სახურავზე აღმართული დროშაც, BMW-ს ბილბორდიც – პირქუშ ფლამანდიურ პეიზაჟს მოაგონებდა მნახველს.

და, აი, ისევ გერმანიაში დავბრუნდი.

დაეშვა თუ არა მიწაზე თვითმფრინავი, კაბინაში მუსიკის საამური ჰანგები გაისმა – ბითლზის „ნორვეგიულ ტყეს“ ასრულებდა რომელიღაც ორკესტრი. ეს მელოდია ყოველთვის ჟრუანტელს მგვრიდა, ახლა კი შემძრა, შემაძრუნა, ისე ამაღელვა, როგორც არასდროს.

წინ გადავიხარე და თავი ისე ჩავრგე ხელებში, თითქოს თავის ქალას გადახლეჩისგან ვიცავდი. ცოტა ხნის მერე ერთი გერმანელი სტიუარდესა მომიახლოვდა და ინგლისურად მკითხა, როგორ ხარო.

- არა მიშავს, ოდნავ თავბრუ მეხვევა.
- ვერაფრით დაგეხმარებით?
- ვერა. გმადლობთ.

ღიმილით გამშორდა. ბითლზი ბილი ჯოელმა შეცვალა. მხრებში გავიმართე და ილუმინატორიდან გავხედე ჩრდილოეთის ზღვის თავზე მოქუფრულ ცას, თან კი იმ ყველაფერზე ვფიქრობდი, რაც ცხოვრებაში დამიკარგავს. ვფიქრობდი გასულ წლებსა და გაფერ-მკრთალებულ გრძნობებზე, მეგობრებზე, რომლებიც დაიხოცნენ ან გაუჩინარდნენ...

თვითმფრინავის მიწაზე დაშვების შემდეგ ხალხმა უსაფრთხოების ქამრების მოხსნა და ხელბარგის ჩამოღება დაიწყო, აი, მე კი სადღაც სხვაგან ვიყავი, ძალიან შორს ამ ყველაფრისგან, იმ მწვანე მდელოზე. ბალახის სუნი მცემდა, ქარი სახეში მეხლებოდა, ჩიტების გადაძახილიც ჩამესმოდა. იქ 1969 წლის შემოდგომა იდგა, მალე ოცი წლის გავხდებოდი.

სტიუარდესა ისევ მომიახლოვდა, ამჯერად გვერდით ჩამომიჯდა და მკითხა, რამე ხომ არ გიჭირსო.

– გმადლობთ, მართლა არა მიშავს, – გავუღიმე, – ოდნავ სევდა შემომანვა.

– კარგად მესმის თქვენი, ზოგჯერ მეც მემართება ეგრე.

წამოდგა, გამიღიმა.

– სასიამოვნო მოგზაურობას გისურვებთ. *Auf Wiedersehen.*

– *Auf Wiedersehen.*

თვრამეტი წელი გავიდა და მდელოზე გატარებული იმ დღის ყოველი დეტალი მახსოვს. ზაფხულის უწყვეტ შხაპუნა წვიმას მტვერი ჩამოერეცხა და მთები მუქმწვანედ ხასხასებდა. ოქტომბრის სიოკაცის სიმაღლის თეთრ გაფოთლილ ტოტებს არხევდა. ცივლურჯ ცაზე ზოლად გადაჭიმულიყო ღრუბელი. უძირო ცა თვალებს გვტკენდა. ქარმა მდელო გადმოჭრა, თმა აუწენა ნაოკოს, ვიდრე ტყეში შესხლტებოდა ფოთლების ასაშრიალებლად და იქიდან შორეული, არაამქვეყნიური ყეფის მოსატანად – იმ ყრუ ხმის, იმ გაუგებარი გადმოძახილისა. სხვა არაფერი ისმოდა. არც ვინმე შემოგვყრია გზად. ორი ბრდღვიალა წითელი ჩიტი დავინახეთ, დამფრთხალები რომ აფრინდნენ მდელოს შუაგულიდან და ტყეს შეაფარეს თავი. სეირნობის დროს ნაოკო ქებზე მელაპარაკებოდა.

მეხსიერება უცნაური რამაა. იმ დღეს პეიზაჟისთვის თითქოს ყურადღება არ მიმიქცევია. ასეთ შთაბეჭდილებას თუ მოახდენდა ჩემზე, არ მეგონა, ან რას წარმოვიდგენდი, თვრამეტი წლის შემდეგ ის მდელო ასე ცხადად თუ დამიდგებოდა თვალწინ. არა, იმ დღეს ის პეიზაჟი ოდნავადაც არ მადარდებდა. მხოლოდ ჩემს თავზე ვფიქრობდი და იმ გოგონაზე, რომელიც გვერდით მომყვებოდა. ხან მასზეც ვფიქრობდი, ხან მხოლოდ ჩემს თავზე. იმ ასაკში ვიყავი, ცხოვრების იმ ეტაპზე, როცა ყოველი სანახაობა, ყოველი განცდა, ყოველი ფიქრი

უკან ბუმერანგივით გვიბრუნდება. თან შეყვარებული ვიყავი; სირთულეებზე შეყვარებული. ის ხედი ყველაზე ნაკლებად მაინტერესებდა.

ახლა კი ჯერ სწორედ მდელი მახსენდება. მახსენდება ბალახის სუნი, ქარი, მთების ხაზი, ძაღლის ყეფა – თან სრული სიცხადით. ისეთი განცდა მაქვს, მგონია, ხელი რომ გავიწვინო, თითის წვერებით შევეხები. და მართალია, ასე მკაფიოდ ვხედავ იმ სცენას, მაგრამ იქ არავინ დგას, არავინ. არც ნაოკოა იქ, არც მე ვარ. ნეტა სად გაქვრით? ასეთი რამ როგორ მოხდა? ყველაფერი, რაც იმ დროს ისე მნიშვნელოვნად მეჩვენებოდა – ნაოკო და ჩემი იმდროინდელი პიროვნება, და სამყარო, რომელიც მაშინ მქონდა – სად გაქრა ეს ყველაფერი? დამიჯერეთ, მის სახესაც ვერ ვიხსენებ. მხოლოდ და მხოლოდ ფონი შემრჩა ხელში, მხოლოდ პეიზაჟი, და არც ერთი ადამიანი.

გონების დაძაბვის შემდეგ მახსენდება მისი სახეც. თანდათან ვცდილობ მთლიანი სურათის შეკვრას – ვიხსენებ მის თლილ, ცივ ხელებს, სწორ შავ თმას, დახვეწილ, მომრგვალებულ ბიბილოს და პანანკინტელა ხალს ყურის უკან, აქლემის ბენვის ქურქს, რომელსაც ზამთარში იცვამდა ხოლმე. ვიხსენებ კითხვის დასმის დროს უტიფრად როგორ მიყურებდა თვალებში და დროდადრო ხმაზე ოდნავ ეტყობოდა თრთოლა (თითქოს ქარიან მთის წვერზე მდგარი ლაპარაკობდა). მერე უეცრად თვალწინ მიდგება მისი სახე – ჯერ პროფილში, მე და ნაოკო ხომ ყოველთვის გვერდიგვერდ ვსეირნობდით, მერე ჩემკენ ტრიალდება, ილიმება, ოდნავ, სულ ოდნავ გვერდზე სწევს თავს და ლაპარაკს იწყებს, თვალებში ისე მიყურებს, თითქოს კამკამა წყლის გუბურაში გამსხლტარი თევზის დანახვას ცდილობდეს.

ნაოკოს სახის გასახსენებლად დრო მჭირდება. წლების გასვლასთან ერთად კი უფრო და უფრო მეტ დროს ვანდომებ ამას. სამწუხაროა, რომ გონებაში მისი სახის აღსადგენად ჯერ მხოლოდ ხუთი წამი მჭირდებოდა, მერე ათი, მერე ოცდაათი, მერე კი მთელი წუთი – თანდათან ეს დრო ისე იზრდება, როგორც შებინდებისას წაგრძელებული ხოლმე ჩრდილები. ალბათ, ერთხელაც იქნება, ამ ჩრდილებს სრულად შთანთქავს წყვილი. ამას ვერაფერი შეაჩერებს. თავიდან მხოლოდ ის პეიზაჟი, ის ოქტომბრის მდელი მიდგება თვალწინ, როგორც ფილმის სიმბოლური კადრი. და ყოველთვის, როცა ის მდელი მახ-

სენდება, გონებაში თითქოს რაღაც ნიხლს მკრავს. გაიღვიძეო, მეუბნება, ისევ აქა ვარ. გაიღვიძე და ამაზე დაფიქრდი. იმაზე დაფიქრდი, ისევ რატომ გამოვჩნდიო. ეს დარტყმა მტკივნეული არასოდეს არ არის. და ყოველ ამორტყმულ ნიხლთან ერთად ყრუ ხმაც გაისმის. მაგრამ ესეც ერთ დღეს სულ გაქრება. ჰამბურგის აეროპორტში კი ეს ნიხლის კვრა უფრო გრძელი და მტკივნეული იყო, ვიდრე ოდესმე ყოფილა. სწორედ ამიტომ ვწერ ამ წიგნს. რომ ვიფიქრო. რომ გავიგო. რას ვიზამთ, ასეთი ვინმე ვარ. იმისათვის, რომ მთლიანად ჩავწვდე მოვლენებს, მათზე უნდა ვწერო.

იქნებ გავიხსენო, იმ დღეს ნაოკო რაზე მელაპარაკებოდა? ჰო, რა თქმა უნდა, „მდელოს ჭაზე“. წარმოდგენა არა მაქვს, ასეთი ჭა მართლა არსებობდა თუ არა. შესაძლოა, ეს ხატება თუ ნიშანი მხოლოდ ნაოკოში არსებობდა, ისევე როგორც უამრავი სხვა რამ, რაც იმ შავბნელ დღეებში მის გონებაში ჩნდებოდა. თუმცა მას შემდეგ, რაც ის ჭა აღმინერა, მდელო უიმისოდ ველარ წარმომედგინა. იმ დღის შემდეგ ჭა, რომლისთვისაც თვალი არასდროს მომეკრა, განუყოფლად შეეთვისა მდელოს იმ ხედს, რომელიც თვალწინ მქონდა გადაშლილი. ის ჭა შემიძლია დეტალურად აღვინეროთ კიდევ. სწორედ იქ იყო, სადაც მდელო სრულდებოდა და იწყებოდა ტყე. ბნელი ორმო, დაახლოებით იარდის დიამეტრისა, ბალახებში ჩამალულიყო. არც ღობით შემოესაზღვრათ, არც ქვით (ყოველ შემთხვევაში, მიწის ზემოთ არაფერი ჩანდა). ხვრელი იყო, მეტი არაფერი, დაფრენილი პირივით. ჭის პირზე ქვები წვიმას სულ გაეთეთრებინა. დაბზარული იყო, ზოგან ამოტეხილიც კი და ნაპრაღში პატარა მწვანე ხვლიკი მისრიალებდა. კიდევ რომ გადახრილიყო კაცი, სიცარიელეს თუ ჩააშტერდებოდა, სხვას ვერაფერს დაინახავდა. ერთი ის ვიცოდი, რომ იმსიღრმე იყო, შეეშინდებოდა კაცს. ვერც კი გაიზომებოდა, სიბნელით იყო სავსე, თითქოს სამყაროს მთელი სიბნელე შეეკუმშათ და იქ ჩაენწყნათ.

– მართლა ძალიან ღრმაა, – ნაოკო სიტყვებს ფრთხილად არჩევდა. ზოგჯერ სჩვეოდა ასე ნელა ლაპარაკი, ცდილობდა, შესაფერისი სიტყვა მოეძებნა, – მაგრამ ის კი არავინ იცის, სად არის, მარტო ის ვიცი, რომ სადღაც აქვეა.

მართლა ასეაო, ტვიდის კოსტიუმის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი თითქოს ღიმილითაც ამას მეუბნებოდა.

– მაშინ წარმოუდგენლად საშიში იქნება, – ავყევი მეც, – წარ-  
მოიდგინე, ღრმა ჭა, რომელიც არავინ იცის, სადაა. მანდ თუ ვინმე  
ჩავარდა, ბოლოც მოელება.

– ჰო, ჩავარდება და მორჩა! ბრახ, და აღარ იქნება!

– ნეტა მართლა ჩავარდნილა ვინმე?

– როგორ არა! ორ-სამ წელიწადში ერთხელ ვინმე მოულოდნელად  
ქრება და ვერავინ პოულობს. ამ დროს აქაური ხალხი იტყვის ხოლმე,  
ოჰ, მდელიოზე ჭაში ჩავარდნილაო.

– არავის ვუსურვებ ეგრე სიკვდილს.

– ჰო, ასე სიკვდილი საშინელებაა, – ნაოკომ კოსტიუმიდან ბალ-  
ახის თესლი ჩამოიფერთხა, – ყველაფერს სჯობია, მაშინვე კისერი  
მოიტეხო, მაგრამ ალბათ მხოლოდ ფეხი თუ მოგტყდება და მერე  
ველარაფერს გახდები. ყვირილისგან ფილტვები დაგისკდება, ხმას  
კი ვერავის მიაწვდენ, იმის იმედიც ვერ გექნება, რომ ვინმე გიპოვის,  
ცხრაფეხები და ობობები შეგაბობდებიან, იჯდები იქ, იმათ ძვლებში,  
ვისაც შენამდე ამოხდომია სული, სიბნელესა და სისველეში, სადღაც  
შორს, შენს თავზე, ზამთრის მთვარესავით სინათლის რკალი იქნება,  
და მოკვდები ასე, შენთვის, მარტო.

– აჰ! ამაზე ფიქრიც კი ძნეოლას მგერის. ვინმემ ეგ ჭა უნდა იპო-  
ვოს და კედელი შემოარტყას.

– ვერავინ იპოვის. ამიტომ ჯობს, ბილიკიდან არ გადაუხვიო.

– ნუ დარდობ, არ გადავუხვევ.

ნაოკომ კოსტიუმის ჯიბიდან ხელი ამოიღო და ჩამჭიდა.

– შენ თვითონ ნუ იდარდებ, კარგად იქნები. შუალამითაც რომ  
ირბინო ამ მდელიოზე, იმ ჭაში მაინც არ ჩავარდები. და ვიდრე შენ  
გვერდით ვიქნები, არც მე ჩავვარდები.

– არასდროს?

– არასდროს.

– ეგ საიდანლა იცი?

– უბრალოდ, ვიცი, – კიდევ უფრო მომიჭირა ხელზე ხელი, გზა კი  
ჩუმად განაგრძო, – ასეთი რამეები ვიცი. არასდროს ვცდები. ამას  
ლოგიკასთან კავშირი არა აქვს – უბრალოდ, ვგრძნობ. აი, როცა  
შენთან ასე ახლო ვარ, არაფრის მეშინია. ვერანაირი შავბნელი თუ  
ბოროტი ძალა ვერ მაცდუნებს.

- პასუხიც გცოდნია. ისლა დაგრჩენია, ყოველთვის ჩემთან იყო.
- მართლა ასე ფიქრობ?
- რა თქმა უნდა.

ნაოკო შეჩერდა. მეც შევჩერდი. ხელები მხრებზე ჩამომადო და თვალებში მომაშტერდა. ღრმა, მშვენიერი თვალები ჰქონდა. დიდხანს, დიდხანს მიყურებდა. მერე ფეხის წვერებზე აინია და ლოყა ლოყაზე მომადო. ამან წამით გული გამიჩერა.

– გმადლობ.

– არაფრის.

– როგორ მიხარია, ეს რომ მითხარი. მართლა მიხარია, – სევდიანად გამიღიმა, – მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია.

– შეუძლებელი? რატომ?

– ეგ არასწორი იქნებოდა. ეგ საშინელება იქნებოდა. ეგ...

ნაოკომ პირი მომუნა და ისევ გზა განაგრძო. ვხვდებოდი, რომ თავში ათასი აზრი უტრიალებდა და ნაცვლად იმისა, რომ ხელი შე-  
მეშალა ამ ფიქრებისთვის, მეც გავჩუმდი და თან გავყევი.

– ეს არასწორი იქნება, შენთვისაც არასწორი იქნება და ჩემთვისაც, – დიდი ხნის პაუზის შემდეგ სიჩუმე დაარღვია.

– რატომ იქნება არასწორი? – ძლივს ამოვილულულე.

– განა ვერ ხვდები? ყოვლად შეუძლებელია ერთმა ადამიანმა მეორეს მუდამ მიხედოს. რას ვგულისხმობ, იცი? აი, ვთქვათ, დავქორ-  
წინდით, დღის განმავლობაში შენ მუშაობა მოგინვეს. როცა წასული  
იქნები სახლიდან, მე ვინ მომივლის? ან როცა მივლინებით წახვალ,  
მაშინ ვინ მომივლის? განა შესაძლებელი იქნება, მთელი სიცოცხლე  
შენზე ვიყო მოკრული? რა ურთიერთობა ეგ იქნება? ადრე თუ გვიან  
მოგებზრდები. ერთხელაც იმაზე დაფიქრდები, ცხოვრება რაში გავ-  
ფლანგე, მთელი ცხოვრება ამ ქალის მოვლა-პატრონობას რატომ  
შევალიეო. ამას ვერ ავიტან. ამით ჩემი პრობლემები არ მოგვარდება.

– მაგრამ მთელი ცხოვრება ასე ხომ არ გაგრძელდება? – ზურგზე  
შევვხე, – ყველაფერს ეშველება. და როცა პრობლემებს მოვაგვარებთ,  
მერე გადავწყვეტთ, როგორ განვაგრძოთ ცხოვრება. იქნებ მერე შენი  
დახმარება მე დამჭირდეს. ჩვენ ხომ საბუღალტრო წიგნის მიხედ-  
ვით არ ვცხოვრობთ. თუ დაჭირდები, გამომიყენებ. განა ამას ვერ  
ხვდები? ან რა საჭიროა ასეთი სიჯიუტე? მოეშვი, მოდუნდი. ასე და-

ძაბული იმიტომ ხარ, რომ მუდამ უარესს ელოდები. თუ მოდუნდები, სხეულიც შეგებას იგრძნობს.

– ამას როგორ მეუბნები? – ემოციებისგან დაცლილი ხმა ჰქონდა. ამით მივხვდი, რალაც ისეთი ვთქვი, რის თქმაც არ ღირდა.

– როგორ შეგიძლია, ასეთი რამ მითხრა, – ფეხებქვეშ დასცქეროდა მინას, – განა თვითონ არ ვიცი, რასაც მეუბნები? მოდუნდი და სხეულიც შეგებას იგრძნობს! რა აზრი აქვს ამის თქმას ჩემთვის? ახლა თუ მოვდუნდები, დავიშლები. ყოველთვის ასე ვიყავი, მე მხოლოდ ასეთს შემიძლია ცხოვრება გავაგრძელო. თუ წამით მოვდუნდები, მაშინვე თავს დავკარგავ. დავიშლები ნაწილებად, და ეს ნაწილები გამეფანტება. ამას როგორ ვერ ხვდები? ამას თუ ვერ ხედავ, ჩემს მოვლაზე როგორღა ლაპარაკობ?

არაფერი მითქვამს.

– დაბნეული ვარ. ძალიან ვარ დაბნეული. და ეს გაცილებით რთულადაა, ვიდრე გგონია. უფრო რთულად... უფრო ჩახლართულად... როგორ იწევი ჩემთან? ასეთი რამ როგორ გამიკეთე? რატომ თავი არ დამანებე?

ახლა ფიჭვის ტყის საზარელ სიჩუმეში მივაბიჯებდით. მომღერალი ჭრიჭინობლების ქერეჭი, რომლებიც გაზაფხულის ბოლოს დახოცილიყვნენ, ბილიკზე მიმოფანტულიყო და ფეხსაცმლის ქვეშ ღრაჭუნებდა. მე და ნოკო ისე უხმოდ მივუყვებოდით ბილიკს, თითქოს რალაც დავკარგვოდა და მას დავეძებდით.

– მაპატიე, – ხელი ჩამჭიდა, თავი გააქნია, – არ მინდოდა. ნუ გეწყინება. მართლა ვწუხვარ. მხოლოდ ჩემს თავზე ვბრაზობდი.

– ალბათ ჯერ კარგად მართლა არ მესმის შენი. ასეთი ჭკვიანი არა ვარ. დრო მჭირდება რალაცების აღსაქმელად, მაგრამ თუ საკმარისი დრო მექნება, შევძლებ გაგიგო, იმაზე უკეთ, ვიდრე სხვებს ესმით.

შეჩერდით და იმ ჩუმ ტყეს დავუგდეთ ყური. ფიჭვის გირჩები და ჭრიჭინობლების ქერეჭი ფეხსაცმლის ცხვირით გავსრისე, მერე კი ტოტებს შორის ავხედე ცის ნაგლეჯებს. ხელები ჯიბეებში ჩაენყო და ფიქრობდა.

– ტორუ, გიყვარვარ?

– ისედაც ხომ იცი.

– მაშინ ორი თხოვნა შემისრულე.



– სამსაც შეგისრულებთ, მაღამ.

ნაოკომ გამილიმა და თავი დამიქნია.

– არა, ორიც მეყოფა. ერთი ისაა, მინდა იცოდე, რამდენად მაღლიერი ვარ იმის გამო, აქ რომ მოხვედი. იმედი მაქვს, ხვდები, როგორ გამახარე. თუ რაღაცას შეუძლია გადამარჩინოს, მხოლოდ ამას. შეიძლება სათანადოდ არ ვამჟღავნებდე, მაგრამ მართლა ასეა.

– ისევ მოვალ შენს სანახავად. კიდევ რა გინდოდა გეთხოვა?

– მინდა, ყოველთვის გახსოვდე. გემახსოვრება, რომ ვარსებობდი? რომ შენ გვერდით ასე ვიდექი?

– ყოველთვის. ყოველთვის მემახსოვრება.

უხმოდ განაგრძო გზა. ხის ტოტებს შორის მოჟონავდა შემოდგომის მზის სხივები და ნაოკოს მხრებზე ეთამაშებოდა. ძაღლმა ისევ დაიყეფა, ამჟამად უფრო ახლოდან. ნაოკო პატარა გორაკზე აძვრა, ტყიდან გავიდა და მერე დაღმართს დაუყვა აჩქარებით. მე ორი-სამი ნაბიჯით უკან მივყვებოდი.

– აქ მოდი, – დაეუძახე უკნიდან, – აქ სადმე ჭა არ იყოს. – ნაოკო შეჩერდა, გამილიმა და ხელი ჩამჭიდა. მერე უკვე გვერდიგვერდ მივდიოდით.

– მპირდები, რომ არასდროს დამივიწყებ? – თითქმის ჩურჩულებდა.

– არასდროს დაგივიწყებ. ვერასდროს დაგივიწყებდი.

მოგონებები კი მაინც გამიფერმკრთალდა, უამრავი რამ უკვე მიმავინყდა. ასეთი მოგონებების გამო წერის დროს შიშის ამიტანს ხოლმე და სინდისიც მქენჯნის. ყველაზე მნიშვნელოვანი რამ რომ დამვიწყებოდა? იქნებ, ჩემში ბნელი ლიმბოა, რომელიც ყველა მნიშვნელოვან მოგონებას ინოვს და თანდათან ტალახად აქცევს? შესაძლოა, ასეც იყოს, ამიტომ ამას უნდა ავუნყო ფეხი. ვებლაუჭები ამ გაფერმკრთალეულ, არასრულყოფილ მოგონებებს და ამ წიგნის წერას განვაგრძობ სასონარკვეთილი დაძაბულობით, მშვიერი კაცივით, რომელიც ძვლებს ღრღნის. მხოლოდ ასე შემიძლია ნაოკოსთვის მიცემული პირობა შევასრულო.

ერთხელ, დიდი ხნის წინ, როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი და ჩემი მოგონებები გაცილებით უფრო მკაფიო იყო, ვიდრე დღეს, ხშირად ვცდილობდი, ამაზე დამეწერა. მაგრამ პნკარიც ვერ

დავწერე. ვიცოდი, რომ, თუ პირველი ხაზის შევსებას შევძლებდი, დანარჩენი თვითონ გადმოიღვრებოდა ფურცელზე, მაგრამ ესეც ვერ შევძელი. ყველაფერი ძალიან ცხადი და მკაფიო იყო, და ამიტომ ვერასდროს ვხვდებოდი, როგორ დამეწყო. ეს მოგონებები იმ რუკას ჰგავდა, რომელიც მეტისმეტად ბევრ რამეს გიჩვენებს და ამით ხდება უსარგებლო. ახლა კი ვხვდები, რომ წერის არასრულყოფილ ჭურჭელში მხოლოდ არასრულყოფილი მოგონებები და არასრულყოფილი ფიქრები შემიძლია მოვათავსო. რაც მეტად ფერმკრთალდება ნაოკოს შესახებ მოგონებები, მით უფრო მეტად მესმის მისი. ისიც კი ვიცი, რატომ მთხოვა, არ დამივიწყო. ნაოკომ თვითონ მშვენივრად იცოდა ეს. იცოდა, რომ მასზე მოგონებები გამიფერმკრთალდებოდა. ზუსტად ამიტომ მეხვეწებოდა, ნუ დამივიწყებო, ნუ დამივიწყებ, რომ ვარსებობდიო.

ეს ფიქრი აუტანელი სევდით მავსებს, რადგან თვითონ ნაოკოს არასდროს ვცვარებოვარ.

## თავი მეორე

ოდესღაც, დიდი ხნის წინათ (ზუსტად თუ გაინტერესებთ, მას შემდეგ ოცი წელი გავიდა), საერთო საცხოვრებელში დავიდე ბინა. თვრამეტი წლისა, პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, ტოკიოში ახალი ჩამოსული. მარტო ცხოვრებაც ახალი ხილი იყო ჩემთვის, ამიტომ შეშფოთებულმა მშობლებმა იმის მაგივრად, რომ იზოლირებული ბინა მოეძებნათ, სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში მიკრეს თავი. ბევრი ჩემი თანატოლი იმ დროს კი ცხოვრობდა უკვე ცალკე, მაგრამ თვრამეტი წლის გამოუცდელი სტუდენტი თავს აქ უფრო ადვილად გაიტანდა, რადგან საერთო საცხოვრებელი თან საქმლითა და საჭირო მოწყობილობებით უზრუნველყოფდა სტუდენტებს და ქირაც გაცილებით იაფი იყო. საწოლისა და მაგიდის ნათურის მეტი არც მჭირდებოდა, ამიტომ არც ავეჯის შესაძენად გამიფლანგავს ფული. მე თვითონ, რასაკვირველია, კერძო ბინაში კომფორტულად ცხოვრება მერჩივნა, მაგრამ ვიცოდი, რამდენი დახარჯეს მშობლებმა უნივერსიტეტში ჩემს შესაყვანად და კიდევ რამის თხოვნა არასწორად მომეჩვენა. თან, მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი საცხოვრებელსა და ასეთ რამეებს.

შუაგულ ქალაქში, გორაკზე, ბეტონის კედელშემოვლებულ ოთხკუთხა ეზოში იდგა საერთო საცხოვრებელი. ჭიშკართან უზარმაზარი ძელქვა ხარობდა, ამბობდნენ, ას ორმოცდაათი წლის მაინც იქნებო. მის ქვეშ მდგომს მალლა რომ აგეხედა, იმ ხშირ მწვანე ფოთლებს შორის ცას თვალსაც ვერ მოჰკრავდი.

ბილიკი, ჭიშკრიდან რომ მიემართებოდა, წრეს ურტყამდა ხეს და მერე პირდაპირ ჭრიდა ოთხკუთხა ეზოს. ბილიკის ორივე მხარეს

ერთმანეთის პირისპირ ორი სამსართულიანი ბეტონის შენობა იდგა. დიდი, უამრავფანჯრიანი შენობები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა მნახველზე, თითქოს ოთახები ექციათ ციხის საკნებად, ან ციხის საკნები გადაეკეთებინათ საცხოვრებელ ბინებად. თუმცა ეს ოთახები არც ჭუჭყიანი იყო, არც ბნელი. ღია ფანჯრებიდან რადიოს ხმა მოისმოდა, ყველგან დაეკიდებინათ ერთნაირი რძისფერი ფარდები, რომლებიც მზეს ჯერ ვერ გაეხუნებინა.

საერთო საცხოვრებლის ორ კორპუსს შორის გამავალი ბილიკი მიიკლაკნებოდა ორსართულიანი შენობისკენ, რომლის პირველ სართულზეც სასადილო დარბაზი და სააბაზანოები იყო, მეორე სართულზე – შეხვედრების ოთახები, დიდი დარბაზი და სასტუმრო ოთახებიც კი, რომელთა დანიშნულებას ვერასოდეს ვხვდებოდი. ამ შენობის გვერდით იდგა საერთო საცხოვრებლის მესამე შენობა, ისიც სამსართულიანი. ოთხკუთხა ეზოში გაშენებული ფართო მწვანე გაზონები მოძრავი სისტემით ირწყვებოდა. ტრიალის დროს წყლის ჭავლი მზის სხივებს ირეკლავდა.

ამ შენობის უკან იყო ექვსი ჩოგბურთის კორტი და მინდორი, რომელსაც ბეისბოლისა და ფეხბურთის სათამაშოდ იყენებდნენ. საერთო საცხოვრებელ კომპლექსში ყველაფერი იყო, რაც მოგესურვებოდა. აქაურობას ერთადერთი პრობლემა ჰქონდა – ყველაფერს პოლიტიკური ელფერი დაჰკრავდა.

საერთო საცხოვრებელს საექვო რეპუტაციის მქონე ფონდი მართავდა, რომელსაც სათავეში მემარჯვენე ექსტრემისტი ტიპი ედგა და, როგორც ჩემს ყურამდე მოაღწია, ის თალღითობდა რალაცას. ამას თქვენც მაშინვე იეჭვებდით, როგორც კი სტუდენტებისთვის განკუთვნილ ბროშურებს ან ცხოვრების აქაურ წესებს გაეცნობოდით.

ამ საერთო საცხოვრებელს დევიზიც კი ჰქონდა, რომელიც, აი, ასეთი: „განათლების რეფორმის დახმარებით ერთად ვიბრძოლოთ სახელმწიფოს სამსახურში მყოფების აღსაზრდელად!“

ბევრმა მდიდარმა, რომელიც იზიარებდა ამ სულისკვეთებას, ჩუმიად დააბანდა ფული ჩვენი საერთო საცხოვრებლის მშენებლობაში. რა იმალებოდა ამ ყველაფრის მიღმა, ბუნდოვანი რჩებოდა.

ზოგი ამბობდა, გადასახადებს მაღავენო, ზოგი მიიჩნევდა, თვალთმაქცობენ ესენი, ვითომ საზოგადოების სამსახურში დგანანო.

ერთი რამ კი უტყუარი იყო – საერთო საცხოვრებლის კომპლექსში სხვადასხვა უნივერსიტეტის ელიტარული სტუდენტებისგან შემდგარი პრივილეგიებული კლუბი დაეარსებინათ. კლუბის წევრები თვეში რამდენჯერმე მართავდნენ შეხვედრებს, რომლებსაც საერთო საცხოვრებლის დამაარსებლებიც ესწრებოდნენ. ამ კლუბის ნები-სმიერ წევრს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კარგ სამსახურში ჰქონდა ადგილი გარანტირებული. არ ვიცოდი, ამ მოსაზრებათაგან რომელი იყო სწორი, ან საერთოდ, იყო თუ არა მართალი რომელიმე, მაგრამ ყველა ერთხმად იზიარებდა აზრს, რომ რაღაც თაღლითობას ჰქონდა ადგილი.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ორი წელი, 1968 წლის გაზაფხული-დან 1970 წლის გაზაფხულამდე, ამ „საეჭვო“ საერთო საცხოვრებელში გავატარე. არ ვიცი, ასე რატომ გამიგრძელდა სიტყვა. ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაზე ამ შესაძლო ყალთაბანდობებს არანაირი გავლენა არ მოუხდენია, ან კი რაში მადარდებდა, იქაურობას მემარ-ჯვენეები მართავდნენ, მემარცხენეები თუ ვილაც სხვები.

აქ ყოველი დილა დროშის საზეიმო აღმართვით იწყებოდა. რა თქმა უნდა, თან ეროვნულ ჰიმნსაც ასრულებდნენ, ერთი მეორის გარეშე ხომ წარმოუდგენელია. ფლაგშტოკი ზუსტად კომპლექსის შუაგულში იდგა და საერთო საცხოვრებლის სამივე შენობის ყოველი ფანჯრიდან მოჩანდა.

დროშის აწევაზე პასუხისმგებელი აღმოსავლეთით მდგარი შე-ნობის მმართველი იყო (მე აქ ვცხოვრობდი). მაღალი, არწივისთ-ვალეზა კაცი ორმოცდაათისა იქნებოდა, ან ოდნავ მეტის. ჯაგარივით თმაში ჭაღარა შერეოდა, ნამზეურ კისერზე კი გრძელი ნაჭრილობევი ჰქონდა. ამბობდნენ, ომის დროინდელ ნაკანოში ჯაშუშთა სკოლა აქვს დამთავრებულიო, თუმცა ეს დანამდვილებით არავინ იცოდა. დილის რიტუალზე გვერდით სტუდენტი ედგა ხოლმე, რომელიც მისი ასისტენტივით იქცეოდა. არც ამ ტიპს იცნობდა ვინმე. თმა მეტის-მეტად მოკლედ შეეჭრა და ყოველთვის მუქლურჯი სტუდენტური უნიფორმა ეცვა. არც ის ვიცოდი, რა ერქვა, არც ის, რომელ ოთახში ცხოვრობდა. არც სასადილოში მინახავს არასოდეს, არც სააბაზა-ნოში. იმაშიც კი არა ვარ დარწმუნებული, რომ მართლა სტუდენტი იყო, თუმცა მის უნიფორმას რომ შეხედავდა, ასე კი იფიქრებდა კაცი.